საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

21/01/2026

MES 3 26 0000116110

გადაწყვეტილება

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 ნოებრის №1693250 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე (ოქმი №46590, 21/01/2026) დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "სურსათის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2025 წლის 28 ნოებრის №1693250 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1. გადაწყვეტილების 2.3 კომპონენტში გადაწყვეტილების დასაბუთების შინაარსი განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) საბჭომ სტანდარტის 1.2 კომპონენტში არსებული კლასტერული რეკომენდაციის (რეკომენდებულია საფუძვლიანად გადაიხედოს კურიკულუმის რუკები, რათა უზრუნველყოთ მკაფიო და თანმიმდევრული შესაბამისობა კურსის შინაარსსა და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის) შინაარსის გათვალისწინებით, შეცვალა 1.2 კომპონენტის შეფასება, კერძოდ

აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად, „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“;
ბ) საბჭომ სტანდარტის 1.5 კომპონენტში დაამატა ორი რეკომენდაცია: 1. "რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები და დაკორექტირდეს შეფასების კრიტერიუმები. გაიწეროს რა შემთხვევაში იწერება თითოეული ქულა". 2. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „სამადუღრე სასმელების ტექნოლოგიის“ ლიტერატურა დაზუსტდეს და ჩანაცვლდეს თემატიკის შესაბამისი ლიტერატურით“. შედეგად, 1.5 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".
ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, პირველი სტანდარტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან“.
გ) საბჭომ სტანდარტის 2.1 კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია „რეკომენდებულია, პროგრამაში დაზუსტდეს ინგლისური ენის მოთხოვნის მინიმალური ცოდნის დონე და განისაზღვროს უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის შესაბამის დონეზე (მაგალითად, B2 დონე) ცოდნის დადასტურების პირობები“, დააკორექტირა და ჩამოაყალიბა შემდეგი სახით „რეკომენდებულია პროგრამაში დაზუსტდეს და განისაზღვროს უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის შესაბამის დონეზე, მაგალითად B2 დონეზე, ცოდნის დადასტურების პირობით“.
1.2. გადაწყვეტილების მე - 3 ნაწილში რეკომენდაციების ჩამონათვალი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. რეკომენდებულია, საფუძვლიანად გადაიხედოს კურიკულუმის რუკები, რათა უზრუნველყოთ მკაფიო და თანმიმდევრული შესაბამისობა კურსის შინაარსსა და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის;
2. რეკომენდებულია, დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გაუმჯობესდეს მათი სიზუსტე, გაზომვადობა და შესაბამისობა ეროვნული საკვალიფიკაციო სტანდარტებთან;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო პროგრამაში მეხუთე სწავლის შედეგი (რომელიც ეხება ეროვნული და საერთაშორისო მარეგულირებელი სტანდარტების 8 ცოდნას), რადგან ამჟამად ის დაკავშირებულია კურსთან „საკვების მიკრობიოლოგია“, რომელიც პირდაპირ არ მოიცავს მსგავსი შინაარსის საკითხებს;
4. რეკომენდებულია, საფუძვლიანად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, რათა უზრუნველყოთ კურსების თანმიმდევრობისა და დასახელებების სიცხადე და თანმიმდევრულობა, განსაკუთრებით ისეთი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, როგორიცაა კურსების თანმიმდევრობაში არსებული ხარვეზები - გამორჩელია ე.წ. follow-up კურსები(მაგალითად, „საინჟინრო გრაფიკა II“) და ფიზიკის კურსებში გაურკვეველი პროგრესია;
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსების შინაარსი არსებული გადაფარვის თავიდან აცილების მიზნით (მაგალითად, ფიზიკური და ქიმიური კონტროლის მეთოდების კურსში), რათა უზრუნველყოთ სწავლის პროგრესია და თავიდან აიცილოთ შინაარსის დუბლირება
6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ დანერგოს სისტემატური მექანიზმი, რომელიც რეგულარულად შეაფასებს სასწავლო მასალის ხარისხს, შესაბამისობასა და აქტუალობას. ასეთ სფეროებში, როგორიცაა სურსათის ტექნოლოგია, მოძველებული ან ზედმეტად ზოგადი მასალების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსები, რათა ძირითადი სასწავლო მასალა, განსაკუთრებით სავალდებულო საბაკალავრო კურსებისთვის, ხელმისაწვდომი იყოს ქართულ ენაზე. ინგლისურენოვანი ლიტერატურა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ

დამატებით მასალად. რეკომენდებულია, ჩანაცვლდეს მოძველებული წყაროები თანამედროვე, რელევანტური და აკადემიურად შესაბამისი გამოცემებით და უპირატესობა მიენიჭოს საქართველოში გამოცემულ მასალებს, სადაც ეს შესაძლებელია (მაგალითად: „კალკულუსი“, „ლოგიკა“, „ზოგადი ქიმია“, „მავნებლობა“, „თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლები“);

8. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურის სია, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის სრულად ასახავს კურსის შინაარსს. მაგალითად, 9 კურსი „ალკოჰოლური სასმელების წარმოების ტექნოლოგია“ უნდა მოიცავდეს ლიტერატურას, რომელიც ეხება სხვადასხვა ტიპის სასმელებს. რეკომენდებულია, შემცირდეს სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა თეორიული ან შესავალი კურსებისთვის, როგორიცაა მაგ. „ფილოსოფია“ და შეირჩეს მხოლოდ ის მასალა, რომლებიც ეფექტურად უწყობს ხელს სწავლის შედეგების მიღწევას და არ გადატვირთავს სტუდენტებს;
9. რეკომენდებულია პროგრამაში დაზუსტდეს და განისაზღვროს უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის შესაბამის დონეზე, მაგალითად B2 დონეზე, ცოდნის დადასტურების პირობით“;
10. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია ხელმძღვანელების დანიშვნის პროცედურები, რეკომენდებულია, შეიქმნას ხელმძღვანელის შერჩევის, დამტკიცებისა და შეცვლის გამჭვირვალე და ერთიანი მექანიზმი. ამისთვის შეიძლება შემუშავდეს სტუდენტის განცხადების ფორმა და ოფიციალური შეთანხმების შაბლონი, რომელსაც ყველა მხარე მოაწერს ხელს;
11. რეკომენდებულია, საქართველოს აგრარულმა უნივერსიტეტმა გააძლიეროს შემოწმების (შეამოწმე) და კორექტირების („იმოქმედე") ეტაპები ხარისხის მართვის ერთიან სისტემაში. ამისთვის მნიშვნელოვანია სტრუქტურული ერთეულების უკეთესი კოორდინაცია, დეტალური მიმოხილვის პროცესის დანერგვა და შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების დროული და სისტემატური გამოყენება კონკრეტული გაუმჯობესებების მისაღწევა;
12. რეკომენდებულია, ოფიციალურად შემუშავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, რომელიც მკაფიოდ აღწერს, როგორ უნდა მოხდეს კეთილსინდისიერების დარღვევების პრევენცია და მართვა;
13. რეკომენდებულია, მომავალში თვითშეფასებისა და პროგრამის მონიტორინგის პროცესები განხორციელდეს ხარისხის გაუმჯობესების სტრუქტურირებული ჩარჩოს საფუძველზე, რომელიც მოიცავს SWOT ანალიზს ან მსგავს მიდგომებს და ითვალისწინებს გასაუმჯობესებელ სფეროებს;
14. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები კითხვარების გაუმჯობესებით, რათა მიიღოთ დეტალური უკუკავშირი არა მხოლოდ სტუდენტებისა და დამსაქმებლებისგან, არამედ ლექტორებისგანაც; ასევე, რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ მიღებული უკუკავშირი სილაბუსების განხილვისა და დახვეწის პროცესში, რათა უზრუნველყოთ პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესება;
15. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები და დაკორექტირდეს შეფასების კრიტერიუმები. გაიწეროს რა შემთხვევაში იწერება თითოეული ქულა;
16. რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „სამადუღრე სასმელების ტექნოლოგიის“ ლიტერატურა დაზუსტდეს და ჩანაცვლდეს თემატიკის შესაბამისი ლიტერატურით.

2. ცნობილ იქნას საბჭოს 2026 წლის 21 იანვრის სხდომის № 46590 ოქმის №09 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში

წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე